# ქართული ენის გრამატიკა
# II კლასი



დამხმარე სახელმძღვანელო

გულნარა ჟღენტი
დემირა ელიაშვილი

# სიტყვებისაგან შევადგინოთ წინადადებები

1. თამაშობდა, პატარა, ეზოში, ბიჭი - პატარა ბიჭი ეზოში თამაშობდა.
1. ხიდი, იყო, ვიწრო, მდინარეზე - მდინარეზე ვიწრო ხიდი იყო.
1. ჯიუტი, ერთმანეთს, თხა, ორი, შეხვდა -
1. თხები, წყალში, ჯიუტი, გადაეშვნენ, ყირამალა -
1. ფეხები, მოკლე, ტყუილს, აქვსო -
1. მიუახლოვდა, მოფარფატე, ბუზი, ყვავილნარში, პეპელას -
1. მზეზე, იჯდა, თბებოდა, და, აივანზე, პაპა -
1. გამოსდიოდა, დახმარება, ძალიან, ბებოს, სხვისი, ეთერი -

# წინადადება

## გავიხსენოთ!

1. რომელი სასვენი ნიშანი დაისმის თხრობითი წინადადების ბოლოს?
   ა) კითხვითი ნიშანი;
   ბ) წერტილი;
   გ) ძახილის ნიშანი
2. რომელი სასვენი ნიშანი დაისმის კითხვითი წინადადების ბოლოს?
   ა) წერტილი;
   ბ) ძახილის ნიშანი
   გ) კითხვითი ნიშანი;
3. რომელი სასვენი ნიშანი დაისმის ძახილის წინადადების ბოლოს?
   ა) ძახილის ნიშანი;
   ბ) წერტილი;
   გ) კითხვითი ნიშანი;
4. რომელი წინადადება არის კითხვითი?
   ა) პატარა ნაკადულის პირას ლამაზი ყვავილი ამოვიდა.
   ბ) ბებია, რანაირია ამუნია?
   გ) ამუნია, არ მოხვიდე, ამუნია!
5. რომელი წინადადება არის თხრობითი?
   ა) გაზაფხულია, გაზაფხული!
   ბ) დაძინებას ისევ ბებიასთან ლაპარაკი ურჩევნია ბიჭს.
   გ) აბა,მითხარი, მელია, ვის დაჩაგვრას ცდილობ?

## რომელი ძახილის წინადადება რას გამოხატავს

ყველანი ადგილებზე! - - - - - - - - მოწოდებას.

რა მშვენიერი ყვავილებია! - - - - - - - - აღფრთოვანებას.

ასე არ შეიძლება, ეგ მეორედ არ გააკეთო! - - - გაფრთხილებას.

ღმერთო, დაიფარე ჩემი ქვეყანა! - - - - - - -თხოვნას, ნატვრას.

### დაკარგული სასვენი ნიშნები

შებინდდა უცებ ტკბილი და საამო გალობა გაისმა
__ ნეტავ ვინ არის __გაიფიქრა ყიყინამ მიდამოს თვალი მოავლო და მგალობელი ბულბული დაინახა
__ რა მშვენიერია
__ რა შესანიშნავი მომღერალია __ გაიკვირვა ყიყინამ

ელექტრონული ტესტი: https://learningapps.org/display?v=pb0jkkgpj20

## დაკარგული სასვენი ნიშნები:

წითელქუდა ბებიასთან წავიდა ტყეში ყვავილები დაინახა და შესძახა: რა ლამაზი ყვავილებია ბებია საწოლში იწვა

___ ბებია, ბებია, რატომ გაქვს ასეთი დიდი თვალები

___ იმიტომ, რომ კარგად დაგინახო, ჩემო წითელქუდავ

___ ბებია, ბებია, რატომ გაქვს ასეთი დიდი ხელები

___ იმიტომ, რომ კარგად მოგეფერო, ჩემო წითელქუდავ

___ ბებია, ბებია, რატომ გაქვს ასეთი დიდი კბილები

___ იმიტომ, რომ კარგად გადაგსანსლო, ჩემო წითელქუდავ

# ჩამოვთვალოთ საგნები

ფანქარ
ი

ველოსიპედი

მანქან

საათი

ბეჭედი

თოჯინა

საგნის აღმნიშვნელ სიტყვას არსებითი სახელი ჰქვია.

| გავიხსენოთ ვინ და რა ჯგუფის არსებითი სახელები | |
|---|---|
| ვინ? | რა? |
| დედა | ყვავილი |
| მამა | მერცხალი |
| ბავშვი | მერხი |
| დიდედა | საყვავილე |
| დეიდა | სანთელი |
| მამიდა | ჭადარი |
| ბებია | ბურთი |
| ბაბუა | სპილო |
| კაცი | ძაღლი |
| ქალი | ქათამი |
| ვინ კითხვა დაესმის მხოლოდ და მხოლოდ ადამიანს. | რა კითხვა დაესმის ადამიანის გარდა ყველაფერს, სულიერსაც და უსულოსაც. |
| **შეასრულეთ ელექტრონული ტესტი:** | https://learningapps.org/display?v=pkp6njj7n19 |

| გავიხსენოთ სულიერი და უსულო არსებითი სახელები | |
|---|---|
| **სულიერი** | **უსულო** |
| დედა | ყვავილი |
| მერცხალი | ბუჩქი |
| ბავშვი | მერხი |
| სპილო | საყვავილე |
| დეიდა | სანთელი |
| მამიდა | ჭადარი |
| ძაღლი | ბურთი |
| ბაბუა | მაგიდა |
| ქათამი | ჩანთა |
| ქალი | წიგნი |
| | |
| **შეასრულე ელექტრონული ტესტი:** | https://learningapps.org/display?v=p6t8rttqn19 |

# საკუთარი და საზოგადო არსებითი სახელები

1. ნიკოლოზი 7 წლისაა. ნიკოლოზი საკუთარი სახელია. საერთოდ ადამიანის სახელები საკუთარი სახელებია.

2. მე ვცხოვრობ თბილისში. თბილისი საკუთარი სახელია, რადგან სხვა თბილისი არ არსებობს.

3. მე მიყვარს ქუთაისი. ქუთაისიც საკუთარი სახელია, რადგან სხვა ქუთაისი არ არსებობს.

4. მე ვცხოვრობ ქალაქში. ქალაქი არ არის საკუთარი სახელი, იმიტომ რომ ქალაქი ბევრია: ქუთაისი, თბილისი, გორი, მცხეთა, ხაშური, ზესტაფონი, ამიტომ ქალაქი - საზოგადო სახელია. საზოგადო სახელია მდინარე, რადგან მდინარე ბევრია: რიონი, მტკვარი, სუფსა, ხოლო რიონი - საკუთარი სახელია, საკუთარია მტკვარი, სუფსა და ა.შ.

ე.ი. არსებით სახელებში გამოიყოფა კიდევ ერთი ჯგუფი: საკუთარი და საზოგადო სახელები

**შეასრულეთ ელექტრონული ტესტი**: https://learningapps.org/display?v=p76f9hpon19

# მიიღე საალერსო სიტყვები:

ბებია ---------- ბებიკო

ძმა----------ძამიკო

თინა ---------- თინიკო

ტასო ---------- ტასიკო

დედა ---------- დედიკო

ზურა ----------ზურიკო

მამა ---------- მამიკო

თინა ---------- თინიკო

და ----------დაიკო

ლალი ---------- ლალიკო

## ორი მ ბგერის თავმოყრა არსებით სახელში:

ჯემი---------- ჯემმა

ჯემმა ნამცხვარი გააგემრიელა.

გურამი -------- გურამმა

გურამმა სირბილში პირველი ადგილი აიღო.

ლომი ---------- ლომმა

ლომმა თავის ბოკვერები გადამალა.

ომი ---------- ომმა

ომმა ბევრის ოჯახი გააუბედურა.

ზეიმი -------- ზეიმმა

სოფლის ზეიმმა გაგვამხიარულა.

სამი ---------- სამმა

სამმა მეგობარმა ერთდროულად გაიმარჯვა.

## ორი მ ბგერის თავმოყრა არსებით სახელში:

ექიმი ---------- ექიმმა

ექიმმა მწარე წამალი გამომიწერა.

გემი ---------- გემმა

გემმა ზღვის ტალღები გააპო!

სკამი ---------- სკამმა

ხის სკამმა ზურგი მატკინა.

ირემი ---------- ირემმა

ირემმა ირემს ბალახი მიაწოდა.

ნამი ---------- ნამმა

დილის ნამმა სულ მთლად დამასველა.

ცომი ---------- ცომმა

ცომმა ამოსვლა დაიწყო.

ატამი ---------- ატამმა

ატამმა ნაყოფი გამოიღო.

## როგორია საგანი?

ბურთი

როგორია ბურთი?
ლურჯი
ლურჯი არის ბურთის ნიშან-თვისება.



სპილო

როგორია სპილო?
დიდი
დიდი არის სპილოს ნიშან-თვისება




გედი

როგორია გედი?
თეთრი
თეთრი არის გედის ნიშან-თვისება

კითხვა: როგორი? - დაესმის სახელს და აღნიშნავს საგნის ნიშან-თვისებას.

## დავუსვათ კითხვები გაფერადებულ სიტყვებს

ბავშვებს ლურჯი ბურთი მოსწონდათ.
როგორი ბურთი ?.
ლურჯი.
დაესმის კითხვა როგორი? და
აღნიშნავს ბურთის ნიშან-თვისებას.




სპილო ზოოპარკში ცხოვრობს.
სად ცხოვრობს?
ზოოპარკში.
დაესმის კითხვა სად? და
აღნიშნავს ადგილს.

საბამ გუშინ თეთრი გედი დახატა.
როდის დახატა?
გუშინ.
დაესმის კითხვა როდის? და
აღნიშნავს დროს

## სიტყვებისაგან მიღებული ახალი სიტყვები

(უ----------ეს)

ტკბილი _____ უტკბესი

მწარე _____ უმწარესი

ლამაზი _____ ულამაზესი

ღარიბი _____ უღარიბესი

მდიდარი _____ უმდიდრესი

ბოროტი _____ უბოროტესი

დიდი _____ უდიდესი

მშვენიერი _____ უმშვენიერესი

ერთი და იგივე სიტყვა შეიძლება წინადადებაში სხვადასხვა მნიშვნელობით შეგვხვდეს

ურმის

ადამიანის

ბეჭდის



თვალი

ფანქრის

მთის

ულვაში და

წვერი

## რომელი სიტყვებისაგან შეიქმნა მოცემული სიტყვები?

სწავლა → უსწავლელი;

ზრდა → გაუზრდელი;

ცმა → ჩაუცმელი;

გარჯა → გაურჯელი;

ქუდი → უქუდო → ქუდიანი;

შვილი → უშვილო → შვილიანი;

ბედი → უბედური → ბედნიერი;

წითელი → მოწითალო;

ყვითელი → მოყვითალო;

მწვანე → მომწვანო;

თეთრი → მოთეთრო;

# სახელის რიცხვი

| ერთი | ერთზე მეტი | ერთი | ერთზე მეტი |
|---|---|---|---|
| 1.ბავშვი | ბავშვები | მერხი | 12.მერხები |
| 2.ქალი | | | 13.სკამები |
| 3.ბიჭი | | | 14.მაგიდები |
| 4.წიგნი | | | 15.დაფები |
| 5.რვეული | | | 16.სურათები |
| 6.კალამი | | | 17.ფურცლები |
| 7.ფანქარი | | | 18.სათამაშოები |
| 8.ნაძვი | | | 19.ღორები |
| 9.მუხა | | | 20.ძროხები |
| 10.მამალი | | | 21.ცხვრები |
| 11.ბუჩქი | | | 22.თხები |

სახელი, რომელიც ერთ საგანს აღნიშნავს, მხოლობითი რიცხვია,
სახელი, რომელი ერთზე მეტ საგანს აღნიშნავს, მრავლობითი რიცხვია.

## რიცხვითი სახელი აღნიშნავს საგნის რაოდენობას

ერთი, ორი, სამი, ოთხი და ა.შ. რიცხვითი სახელებია და დაესმის კითხვა რამდენი?
რიცხვითი სახელი კიდევ აღნიშნავს საგნის რიგს. დაესმის კითხვა რომელი? მერამდენე?

1. ნინო რიგში მესამეა.
   - მერამდენეა?
   - მესამე.

2. ლალი რიგში მეორეა.
   -მერამდენეა?
   - მეორე.

3. ლია რიგში პირველია.
   - რომელია?
   - პირველი.

ლია ლალი ნინო

სწორია პირველი და არა მეერთე.

ელექტრონული ტექტი: https://learningapps.org/display?v=p4ie7usxk20

## სიტყვები, რომლები გამოხატავს რიგს

საბა მეორე რიგში იჯდა. ბილეთების რიგში მეხუთე ვიყავი. სცენაზე მესამე გამომსვლელი გამოვიდა. ლიამ უკვე მეხუთე წიგნი წაიკითხა. მასწავლებელმა სიით მეათე მოსწავლე გამოიძახა.

## ერთი და იგივე სახელი შეიძლება სხვადასხვა ფორმით შეგვხვდეს.

ბიჭი გაკვეთილს სწავლობს. ბიჭმა გაკვეთილი ისწავლა. ბიჭს მეგობრები ამხნევებენ. ბიჭის ნათქვამმა ყველა გააოცა.

სიტყვები: ბიჭი, ბიჭმა, ბიჭს, ბიჭის ჩავსვათ წინადადებებში შესაბამისი ფორმით.

..... მიერ შესრულებული სიმღერა ყველას მოეწონა. ..... ფეხბურთი ითამაშა.
..... დედა ეძახის. ..... სკოლაში წავიდა.

## ნაცვალსახელი

| მხოლობითი | | მრავლობითი |
|---|---|---|
| მე | _____ | ჩვენ |
| შენ | _____ | თქვენ |
| ის | _____ | ისინი |

### იხმარება სახელების ნაცვლად

ნიკოლოზი (ის) სკოლაში მიდის.

გააკეთე (შენ) რასაც გეუბნები.

ხვალ სკოლაში მივდივარ (მე)

ჩავსვათ შესაბამისი სიტყვები: მე, შენ ის.

| მხოლობითი რიხვი | მრავლობითი რიხვი |
|---|---|
| ვსწავლობ მე<br>სწავლობ შენ<br>სწავლობს ის | ვსწავლობთ ჩვენ<br>სწავლობთ თქვენ<br>სწავლობენ ისინი |
| ვაფერადებდი მე<br>აფერადებდი შენ<br>აფერადებდა ის | ვაფერსდებდით ჩვენ<br>აფერადებდით თქვენ<br>აფერადებდნენ ისინი |
| დავწერ მე<br>დაწერ შენ<br>დაწერს ის | დავწერთ ჩვენ<br>დაწერთ თქვენ<br>დაწერენ ისინი |
| | |

თამაშობდა - - ის

ვაშენებ - - -

შეკერავ - - -

ვცეკვავ - - -

წაიქეცი - - -

იმღერებს - -

ფიქრობდი - -

ვიცინი - - -

გააკეთებს - -

ვკითხულობ - - -

ტირის - - - -

## მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვა

1. ნინო სახლს ალაგებს.
   რას შვრება? - ალაგებს (აღნიშნავს მოქმედებას).

2. ამ დროს იქვე ხეზე ჩხიკვი ჩამოჯდა.
   რა ჰქნა? - ჩამოჯდა (მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვაა).

3. ჩხიკვი კი მაღლა ხის ტოტზე დაფარფატებდა და უგემურად ჩხიკვინებდა...
   რას შვრებოდა? _ დაფარფატებდა, ჩხიკინებდა (აღნიშნავს მოქმედებას.
4. დუდუნებდა მდინარე.
   რას შვრებოდა? - დუდუნებდა (აღნიშნავს მოქმედებას)

მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებს დაესმის კითხვები:

რას შვრება, რა ჰქნა, რას იზამს . . .

## გაზაფხული (ნაწყვეტი)

ნანა კაციაშვილი

ენძელამ თვალები მოიფშვნიტა, მხრები მოისრისა, მერე სახეზე შეისხა იქვე მოწანწკარე რუს ცივ-ცივი და ანკარა წყალი. მოახლოვებული გაზაფხულის სითბო არ ასვენებდა, აღარ აძლევდა ძილის გაგრძელების საშუალებას.

ტექსტში მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვების კითხვებია:

1. მოიფშვნიტა _ რა ჰქნა?
2. მოისრისა - რა ჰქნა?
3. შეისხა - რა ჰქნა?
4. ასვენებდა - რას შვრებოდა?
5. აძლევდა - რას შვრებოდა?

## სიტყვები ვაქციოთ მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებად

თოვლი ---------- თოვს,

ცეკვა ---------- ცეკვავს,

თამაში ---------- თამაშობს,

კითხვა ---------- კითხულობს,

წერა ---------- წერს,

სიცილი --------- იცინის,

ყვირილი -------- ყვირის,

სიყვარული ----- უყვარს,

წვიმა ----------წვიმს,

სიმღერა ---------- მღერის,

სწავლა ---------- სწავლობს,

ცელქი ---------- ცელქობს,

ხატვა ---------- ხატავს,

ტირილი ---------- ტირის,

სიარული --------- დადის,

სიძულვილი ---- სძულს.

ერთსიტყვიანი წინადადების გადაქცევა ორ-სამ და ოთხსიტყვიან წინადადებად

თოვდა. გუშინ თოვდა. მთელი დღე თოვდა.

გუშინ მთელი დღე თოვდა.

წვიმს. გადაუღებლად წვიმს.

დღეს გადაუღებლად წვიმს.

მთელი დღეა გადაუღებლად წვიმს.

# მიმართულების აღმნიშვნელი სიტყვები:

აძვრა ---------- ჩამოძვრა

მიედინება------მოედინება

აბობღდა ------ჩამობობღდა



მიდის ---------- მოდის

გამოვიდა ------ შემოვიდა

ავიდა ----------ჩამოვიდა

მიფრინდა ------- მოფრინდა

მირბის ---------- მორბის

წავიდა ---------წამოვიდა

გადავიდა ------ გადმოვიდა

## როდის ხდება მოქმედება, ახლა, გუშინ თუ ხვალ?

საბა გაკვეთილს სწავლობს. როდის? ახლა.

გიორგიმ ბურთი ითამაშა. როდის? გუშინ.

ლანა დავალებას დაწერს. როდის? მომავალში.

ვგებულობთ დროს, როდის ხდება მოქმედება.

### შევაერთოდ ხაზებით:

| | | | |
|---|---|---|---|
| აგზავნის | გუშინ; | მუშაობს | მომავალში; |
| გააგზავნა | მომავალში; | იმუშავა | ახლა; |
| გააგზავნის | ახლა; | იმუშავებს | გუშინ. |

# შევადგინოთ სიტყვები:






| მხოლობითი | მრავლობითი |
| --- | --- |
| ლიამ წიგნი მაგიდაზე დადო | ლიამ წიგნები მაგიდაზე დააწყო |
| ბავშვი კომპიუტერს მიუჯდა<br>ბავშვი კომპიუტერთან ზის | ბავშვები მაგიდას მიუსხდნენ<br>ბავშვები მაგიდასთან სხედან |
| ბავშვმა მარწყვი მოწყვიტა | ბავშვმა მარწყვი მოკრიფა |
| ფოთოლი ჩამოვარდა<br> | ფოთლები ჩამოცვივდა<br> |


მხოლობითი
მრავლობითი
ვჯდები
ვსხდებით
გადააგდო
გადაყარა
ვარდება
ცვივა
ვზივარ
ვსხედვართ
მოკლა
დახოცა
მხოლობითი
მრავლობითი
მივარდა
მიცვივდა
გდია
ყრია
მოიბა
მოისხა
აბია
ასხია
გააგდო
გარეკა

## სიტყვები, რომლები სხვადასხვა სიტყვის შეერთებით მიიღება

დედ-მამა, და-ძმა, ცოლ-ქმარი, მთა-ბარი, წვერ-ულვაში, მშვილდ-ისარი, სახლ-კარი, ბებია-ბაბუა, ხელ-ფეხი, ფარ-ხმალი, ბიძაშვილ-მამიდაშვილი.

სიტყვას, რომელი შეიძლება ორ სიტყვად ვაქციოთ დეფისით იწერება.

| | | | |
|---|---|---|---|
| დედ-მამა → | დედა და მამა. | და-ძმა → | და და ძმა. |
| ცოლ-ქმარი → | ცოლი და ქმარი. | მთ-ბარი → | მთა და ბარი. |
| წვერ-ულვაში → | წვერი და ულვაში. | მშვილდ-ისარი → | მშვილდი და ისარი. |
| სახლ-კარი → | სახლი და კარი. | ბებია-ბაბუა → | ბებია და ბაბუა. |
| ხელ-ფეხი → | ხელი და ფეხი. | ფარ-ხმალი → | ფარი და ხმალი. |

ბიძაშვილ-მამიდაშვილი → ბიძაშვილი და მამიდაშვილი.

## მიიღე ახალი სიტყვები

ბაღი ვენახი

ბაღ-ვენახი

-

გოგო ბიჭი

---

სახლი კარი

---

ცვარი ნამი

---

ქართლი კახეთი

---

ველი მინდორი

---

აღმოსავლეთი დასავლეთი

-

---

ბიძაშვილი მამიდაშვილი

---

## სიტყვის გადატანა

სიტყვები: თხა, ძმა, მთა, ზღვა, ცა, თმა, ტბა, დღე, მზე, წვიმს _____ არ გადაიტანება,

რადგან ეს სიტყვები არის ერთმარცვლიანი და ერთმარცვლიანი სიტყვები ერთი ხაზიდან მეორეზე არ გადაიტანება.

ორ და მეტმარვლიანი სიტყვა გაიყოფა მარცვალზე და ისე გადაიტანება.

მაგ.: დე-და, მა-მა-ლი, მა-ტა-რე-ბე-ლი, ბი-ცო-ლა, ბი-ძა, კრუ-ხი, კვერ-ცხი, ფო-თო-ლი.

**ჩამოთვლილი სიტყვებიდან ხაზი გაუსვით ქვეშ, რომლებიც არ გადაიტანება:**

**ცეცხლს, თივა, ფუტკარი, ბზა, თოვს, პეპელა, აქლემი, ვეფხვი, წყვეტს, ძაღლს, ჭამს,**

**რეცხავს, კერავს, სვამს, აკეთებს, კლავს, ჰქუხს, ფრინველი, მწყერს, მცემს, კალათი,**

**თამაშობს, დგას, ხმა, ხოხობი, ყეფს, კნავის, ზის, ჭრის, ჭიხვინებს, ჰგავს, კუ, ჭა, რკო.**

## გადასატანად დამარცვლე სიტყვები:

| სიტყვა | რამდენი მარცვალია | როგორ გადაიტანება |
|---|---|---|
| ქათამი | 3 | ქა - თა - მი |
| ბატი | 2 | ბა - ტი |
| მამალი | 3 | მა - მა - ლი |
| ფრთა | 1 | ფრთა |
| მზე | 1 | მზე |
| სამზარეულო | 5 | სამ-ზა-რე-უ-ლო |
| სასახლე | 3 | სა -სა -ხლე |

## დიალოგი

როცა ორი პერსონაჟი მონაცვლეობით საუბრობს, დიალოგი ეწოდება.

__ რა ლამაზი გოგონაა! _ მოეწონათ ჯუჯებს.
__ რა გქვია?
__ ფიფქია?
__ჩვენს ქოხში როგორ გაჩნდი?

როგორ ვხედავთ, აქ საუბრობს ორი პერსონაჟი: ფიფქია და ჯუჯა.
რომ გავარჩიოთ ერთის ნათქვამი მეორისაგან, თითოეულის ნათქვამს წინ უნდა გავუსვათ ხაზი. (დიალოგის ხაზი).

__ ვინ იჯდა ჩემს სკამზე?
__ ვინ შეჭამა ჩემი კერძი?
__ ვინ იხმარა ჩემი ჩანგალი?
__ ვინ ახლო ხელი ჩემს დანას?
__ ვინ დალია ჩემი ღვინო?
__ ვინ იწვა ჩემს საწოლზე?

ჯუჯების დიალოგი

## ვისაუბროთ სწორად

ბოდიში მოუხადა

მადლობა გადაუხადა

ნანამ ლელას აწყენინა და ბოდიში მოუხადა.

დედამ პატარა შვილს კოცნისთვის მადლობა გადაუხადა.

შეურჩიეთ თითოეულ წინადადებას შესაბამისი სიტყვა:

გიორგიმ ლანას წიგნი დაუკარგა და ბოდიში .....

ხატიამ ელენეს საჩუქრისათვის მადლობა .....

საბამ ლიზის დაგვიანებისათვის ბოდიში .....

მასწავლებელმა მოსწავლეებს კარგი საქციელისთვის მადლობა .....

# თავაზიანი ფორმები

ჭამე ---------- მიირთვი

დაჯექი ---------- დაბრძანდი

აიღე ---------- ინებე

ადექი ---------- აბრძანდი

შევჭამ ---------- გეახლები

გეტყვი ---------- მოგახსენებ

ხარ ---------- ბრძანდები

მოდი ---------- მობრძანდი

წადი ---------- წაბრძანდი

გინდა? ---------- გნებავთ?

მინდა ---------- მნებავს

მითხარი ---------- მიბრძანე

| მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები | | | საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები | |
|---|---|---|---|---|
| ლამაზი | მშვენიერი | | ლამაზი | მახინჯი |
| კომში | ბია | | კარგი | ცუდი |
| პაპა | ბაბუა | | დიდი | პატარა |
| უამინდობა | ავდარი | | მაღალი | დაბალი |
| უდედმამო | ობოლი | | მოკლე | გრძელი |
| უენო | მუნჯი | | მსუქანი | გამხდარი |
| უთავაზა | ცემა | | სიყვარული | სიძულვილი |
| უთქმელად | ჩუმად | | კეთილი | ბოროტი |
| უკადრისი | ამაყი | | ძლიერი | სუსტი |
| ულამაზო | უშნო | | გულადი | ლაჩარი |
| უმცროსი | პატარა | | დღე | ღამე |
| ურჩხული | გველეშაპი | | ნათელი | ბნელი |

## რომელი კუთხის მცხოვრები როგორ იწოდება?

| | |
|---|---|
| ქართლი | ქართლელი |
| ხევსურეთი | ხევსური |
| მთიულეთი | მთიული |
| ჯავახეთი | ჯავახი |
| თუშეთი | თუში |
| რაჭა | რაჭველი |
| კახეთი | კახელი |
| სამეგრელო | მეგრელი |

| | |
|---|---|
| ხევი | მოხევე |
| ფშავი | ფშაველი |
| მესხეთი | მესხი |
| იმერეთი | იმერელი |
| აჭარა | აჭარელი |
| ლეჩხუმი | ლეჩხუმელი |
| გურია | გურული |
| სვანეთი | სვანი |
| აფხაზეთი | აფხაზი |

# პასუხები:

**გვ. 1.**

**3. ორი ჯიუტი თხა ერთმანეთს შეხვდა.**
**4. ჯიუტი თხები წყალში ყირამალა გადაეშვნენ.**
**5. ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო.**
**6. ყვავილნარში მოფარფატე პეპელას ბუზი მიუახლოვდა.**
**7. პაპა აივანზე იჯდა და მზეზე თბებოდა.**
**8. ეთერი ბებოს სხვისი დახმარება ძალიან გამოსდიოდა.**

**გვ.2 ტესტი**

1. **ბ**
2. **გ**
3. **ა**
4. **ბ**
5. **ბ**

**გვ. 3** დაკარგული სასვენი ნიშნები

შებინდდა. უცებ ტკბილი და საამო გალობა გაისმა.
__ ნეტავ ვინ არის ? __გაიფიქრა ყიყინამ. მიდამოს თვალი მოავლო და მგალობელი ბულბული დაინახა.
__ რა მშვენიერია!
__ რა შესანიშნავი მომღერალია! __ გაიკვირვა ყიყინამ.

## გვ.4 დაკარგული სასვენი ნიშნები:

წითელქუდა ბებიასთან წავიდა. ტყეში ყვავილები დაინახა და შესძახა: რა ლამაზი ყვავილებია! ბებია საწოლში იწვა.

__ ბებია, ბებია, რატომ გაქვს ასეთი დიდი თვალები?

__ იმიტომ, რომ კარგად დაგინახო, ჩემო წითელქუდავ.

__ ბებია, ბებია, რატომ გაქვს ასეთი დიდი ხელები?

__ იმიტომ, რომ კარგად მოგეფერო, ჩემო წითელქუდავ.

__ ბებია, ბებია, რატომ გაქვს ასეთი დიდი კბილები?

__ იმიტომ, რომ კარგად გადაგსანსლო, ჩემო წითელქუდავ.

## გვ.17 ერთი, ერთზე მეტი

2. ქალები;
3. ბიჭები
4. წიგნები
5. რვეულები
6. კალმები
7. ფანქრები
8. ნაძვები
9. მუხები
10. მამლები
11. ბუჩქები

2. სკამი
3. მაგიდა
4. დაფა
5. სურათი
6. ფურცელი
7. სათამაშო
8. ღორი
9. ძროხა
10. ცხვარი
11.თხა

გვ.19.

ბიჭის მიერ შესრულებული სიმღერა ყველას მოეწონა. ბიჭმა ფეხბურთი ითამაშა.
ბიჭს დედა ეძახის. ბიჭი სკოლაში წავიდა.

გვ.21

ვაშენებ მე; შეკერავ შენ; ვცეკვავ მე; წაიქეცი შენ; იმღერებს ის; ფიქრობდი შენ;
ვიცინი მე; გააკეთებს ის; ვკითხულობ მე; ტირის ის.

გვ. 27 შევაერთოდ ხაზებით

| | |
|---|---|
| მუშაობს | მომავალში |
| იმუშავა | ახლა |
| იმუშავებს | გუშინ |

გვ.33 ჩამოთვლილი სიტყვებიდან ხაზი გაუსვით ქვეშ, რომლებიც არ გადაიტანება:

<u>ცეცხლს</u>, თივა, ფუტკარი, <u>ბზა</u>, <u>თოვს</u>, პეპელა, აქლემი, ვეფხვი, <u>წყვეტს</u>, <u>ძაღლს</u>, <u>ჭამს</u>, რეცხავს, კერავს, <u>სვამს</u>, აკეთებს, <u>კლავს</u>, <u>ჰქუხს,</u> ფრინველი, <u>მწყერს</u>, <u>მცემს</u>, კალათი, თამაშობს, <u>დგას,</u> <u>ხმა</u>, ხოხობი, <u>ყეფს</u>, კნავის, <u>ზის, ჭრის</u>, ჭიხვინებს, <u>ჰგავს, კუ, ჭა, რკო</u>.

გვ.36

გიორგიმ ლანას წიგნი დაუკარგა და ბოდიში მოუხადა.
ხატიამ ელენეს საჩუქრისათვის მადლობა გადაუხადა.
საბამ ლიზის დაგვიანებისათვის ბოდიში მოუხადა.
მასწავლებელმა მოსწავლეებს კარგი საქციელისთვის მადლობა გადაუხადა.